

საქართველოს ისტორია და კულტურა

I კურსი (ბიზნეს ინჟინერინგი) I, II სემესტრი, 2017-2018 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა:

აირჩიეთ ერთი:

- a. კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი
- b. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი
- c. შავიზღვის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია
- d. კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი

კითხვა 2

რა სახელით მოიხსენიებს ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთს "მოქცევაი ქართლისაის" ავტორი?

აირჩიეთ ერთი:

- a. შიდა ქართლი
- b. დიაოხი
- c. არიან-ქართლი
- d. ქვემო ქართლი

კითხვა 3

"ეთნოგენეზი" ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. პოლიტიკურ ისტორიას
- b. ეკონომიკის განვითარებას
- c. ხალხის (ერის) წარმომავლობას
- d. დამწერლობის ისტორიას

კითხვა 4

პირველყოფილ ადამიანთა რელიგია ჩაისახა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ნეოლითში
- b. მეზოლითში
- c. პალეოლითში
- d. ენეოლითში

კითხვა 5

ქრისტეს რომელი მოციქულია დაკრძალული საქართველოს ტერიტორიაზე?

აირჩიეთ ერთი:

- a. ანდრია პირველწოდებული
- b. პეტრე
- c. სვიმონ კანანელი
- d. იუდა ისკარიოტელი

კითხვა 6

ვინ იყო ირანის შაჰი ეგრისში „დიდი ომიანობის“ პერიოდში?

აირჩიეთ ერთი:

- a. კავადი
- b. პეროზი
- c. ხოსრო ანუშირვანი
- d. ჰორმიზდი

კითხვა 7

ვინ იყვნენ ხალიფები?

აირჩიეთ ერთი:

- a. ბუდისტები
- b. იუდეველები
- c. ეგვიპტელი მმართველები
- d. მუჰამედის მოადგილეები

კითხვა 8

რომელმა აფხაზთა ერისთავმა დაიმორჩილა მთელი დასავლეთ საქართველო და თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ლეონ II-მ
- b. თეოდოსმა
- c. გიორგიმ
- d. კონსტანტინემ

კითხვა 9

რომელმა მოღალატე დიდებულმა ჩაშალა თბილისისა და ანისის შემოერთება?

აირჩიეთ ერთი:

- a. ლიპარიტ ბაღვაში
- b. სულა კალმახელმა
- c. გრიგოლ ბაკურიანის ძემ

d. იოანე მარუშის ძემ

კითხვა 10

რომელ წელს დაიწყო "დიდი თურქობა" ?

აირჩიეთ ერთი:

- a. 1064 წელს.
- b. 1067 წელს.
- c. 1071 წელს.
- d. 1080 წელს.

კითხვა 11

საქართველოს რა ნაწილის შემოერთებას მოჰყვა ერწუხის ბრძოლა ?

აირჩიეთ ერთი:

- a. შიდა ქართლი
- b. კახეთ-ჰერეთი
- c. კლარჯეთი
- d. ტაო

კითხვა 12

რომელი მოხელეების გადაყენება მოსთხოვეს მეფე თამარს დიდებულებმა?

აირჩიეთ ერთი:

- a. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონის, ამირსპასალარი ყუბასარისა და მსახურთუხუცესის აფრიდონის.
- b. მეჭურჭლეთუხუცესის
- c. ათაბაგის
- d. მსახურთუხუცესის

კითხვა 13

რას ნიშნავს სიტყვა „ციზილბაში“?

აირჩიეთ ერთი:

- a. შავთავიანს
- b. წითელთავიანს
- c. ყრუს
- d. კოჭლს

კითხვა 14

საქართველოს რომელმა მეფემ გააფორმა ზავი მონღოლებთან?

აირჩიეთ ერთი:

- a. ლაშა-გიორგიმ
- b. დემეტრე II

- c. გიორგი III
- d. რუსუდანმა

კითხვა 15

რომელ სახელმწიფოებს შორის დაიდო „ამასიის ზავი“ 1555 წელს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ირანსა და ოსმალეთს შორის
- b. საქართველოსა და ირანს შორის
- c. საქართველოსა და ოსმალეთს შორის
- d. ბიზანტიასა და საქართველოს შორის

კითხვა 16

კახეთის რომელმა მეფემ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის მეფე ივანე IV-სთან?

აირჩიეთ ერთი:

- a. ლევანმა
- b. გიორგი I-მა
- c. ალექსანდრე I-მა
- d. ალექსანდრე II-მ

კითხვა 17

რომელია პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?

აირჩიეთ ერთი:

- a. ქართულ-იტალიური ლექსიკონი
- b. ვეფხისტყაოსანი
- c. დავითიანი
- d. სიბრძნე-სიცრუისა

კითხვა 18

რომელ წელს დააბრუნეს ირანელებმა ქართლში ვახტანგ VI?

აირჩიეთ ერთი:

- a. 1719
- b. 1703
- c. 1722
- d. 1724

კითხვა 19

პირველი ქვეყანა, რომელმაც დე-იურედ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა იყო:

აირჩიეთ ერთი:

- a. თურქეთი
- b. რუსეთი
- c. ინგლისი
- d. ესპანეთი

კითხვა 20

რა სტატუსი მიენიჭა აფხაზეთს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

აირჩიეთ ერთი:

- a. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
- b. აფხაზეთის დემოკრატიული რესპუბლიკა
- c. აფხაზეთის დემოკრატიული ოლქი
- d. აფხაზეთის დამოუკიდებელი ოლქი

კითხვა 21

ვის ეკავა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ?

აირჩიეთ ერთი:

- a. ნოე ჟორდანიას
- b. ვალიკო ჯუღელს
- c. ნოე რამიშვილს
- d. ნოე ხომერიკს

კითხვა 22

რაში გადაიზარდა პიროვნების კულტის კრიტიკა საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის აშკარა წაყრუების შედეგად:

აირჩიეთ ერთი:

- a. ქართული ერის ქებასა და დიდებაში
- b. ქართველი ერის წარსულის კრიტიკაში
- c. ქართველი ერის ლანძვასა და დამცირებაში
- d. სტალინის ქართული წარმომავლობის ეჭვქვეშ დაყენებაში

კითხვა 23

1990 წელს გამართულ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გაიმარჯვა:

აირჩიეთ ერთი:

- a. „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“
- b. „საქართველოს კომუნისტური პარტია“
- c. „შოთა რუსთაველის საზოგადოება“
- d. „ლეიბორისტურმა პარტიამ“

კითხვა 24

რომელ წელს აირჩიეს ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად:

აირჩიეთ ერთი:

- a. 1989 წელს
- b. 1990 წელს
- c. 1991 წელს
- d. 1992 წელს

კითხვა 25

რომელმა ახალმა კუპიურამ შეცვალა ქართული კუპონი

აირჩიეთ ერთი:

- a. ლარმა
- b. მანეთმა
- c. დოლარმა
- d. ლირა

კითხვა 26

რომელ წელს შეცვალა კუპონი ახალმა ქართულმა ვალუტამ:

აირჩიეთ ერთი:

- a. 1991 წელს
- b. 1992 წელს
- c. 1995 წელს
- d. 1994 წელს

კითხვა 27

ვინ მეთაურობდა იმერეთის 1810 წლის ანტირუსულ აჯანყებას

აირჩიეთ ერთი:

- a. სოლომონ I.
- b. სოლომონ II.
- c. ამ აჯანყებას არ ჰყოლია მეთაური.
- d. მამია გურიელი.

კითხვა 28

რა ბედი ეწია იმერეთის სამეფოს 1810 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ.

აირჩიეთ ერთი:

- a. იმერეთის სამეფოში ქართველი მეფის ხელისუფლება შენარჩუნდა.
- b. იმერეთის სამეფომ სრული დამოუკიდებლობა აღიდგინა.
- c. იმერეთის სამეფო გააუქმეს და იქ რუსული მმართველობა შემოიღეს.
- d. იმერეთის სამეფო სამეგრელოს სამთავროს მიუერთეს.

კითხვა 29

ხარაჯა არის

აირჩიეთ ერთი:

- a. ხელშეკრულება
- b. გადასახადი
- c. სიგელი
- d. ინსიგნია.

კითხვა 30

ომკის ტამარი მდებარეობს

აირჩიეთ ერთი:

- a. სამცხეში
- b. ტაოში
- c. კლარჯეთში
- d. თორში.